პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 48-ე წელი
№ 50 (14046) | ხუთშაბათი, 29 თებერვალი, 1968 წ. | ფასი 2 კაპ.

საქართველოს მშრომელებო!

განვამტკიცოთ საიუბილეო წლის ნარმატებანი, მივაღწიოთ ახალ აღმავლობას ხუთწლედის მესამე წელს!

ზრდიან სიმძლავრეს

ქუთაისი. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ. შ. ჯავახაძე). ლითოფონის ქარხანაში № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის № 9 სამმართველოს მშენებლებმა (უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი გ. გეწაძე) საძირკველი ჩაუყარეს კიდევ ერთ ახალ სიმძლავრეს — ბარიუმის საამქროს ბარიტის აღმდგენ შავ ღუმელს. ახალი ღუმელი, რომელიც სათავალავით მეოთხე იქნება, წლის მეორე ნახევარში უნდა ამუშავდეს. იგი დღეღამეში გამოუშვებს ათობით ტონა ბარიუმის ხსნარს.

ახლახან შაბიამნის საამქროში გამოსცადეს ახლადდამონტაჟებული № 2 კრისტალიზატორი. გამოცდამ წარმატებით ჩაიარა. ახალი ქიმიური სიმძლავრე ამ დღეებში ჩადგება მწყობრში და მნიშვნელოვნად დააჩქარებს სპილენძის დაკრისტალების პროცესს, გაადიდებს შაბიამნის გამოშვებას.

თბილისური ზუსტი ხელსაწყოები

თბილისის ქარხანა „ჰიდრომეტეოხელსაწყოს“ პროდუქციას კარგად იცნობენ როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. ქარხანამ რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო პროდუქციის ექსპორტი. აქ დამზადებული ჰიდროლოგიური, მეტეოროლოგიური და აქტინომეტრიული ხელსაწყოები მსოფლიოს 50-ზე მეტ ქვეყანაში იგზავნება.

ქარხანაში საგანგებოდ არის შემუშავებული იმ ხელსაწყოების ტექნოლოგია, რომლებიც ტროპიკული ქვეყნებისთვის არის განკუთვნილი და განსაკუთრებით დიდი სიზუსტით გამოირჩევა. მაგალითად, ისრიანი გალვანომეტრი იხმარება აქტინომეტრში დენის ძალის გასაზომად ამპერის მემილიონედ ნაწილში. ამჟამად ქარხნის მთელი კოლექტივი პასუხისმგებლობით მუშაობს ხელსაწყოების ახალ პარტიაზე, რომელიც ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაკვეთით სრულდება. ამ ბოლო დროს აქ აითვისეს ჩაის ხარისხის საზომი ხელსაწყო „სინაზე“, რომელიც დიდი მოწონებით სარგებლობს. მისი დახმარებით უშეცდომოდ შეიძლება დავადგინოთ ჩაის ხარისხი.

ქარხნის პროდუქცია მრავალ საერთაშორისო გამოფენაზე იყო წარდგენილი და ყველგან დიდი მოწონება ხვდა, რასაც იდმინისტრაციის სახელზე გამოგზავნილი მადლობის ბარათები მოწმობენ.

ახლახანს ქარხანამ დიდი რაოდენობით გაგზავნა თერმოელექტრული აქტინომეტრების, უნივერსალური პირანომეტრებისა და საზღვაო ბათომეტრების მორიგი პარტია ბულგარეთის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

თ. კინწურაშვილი.

ხუთწლედი — ვადამდე!

მანქანებიც, თესლიც...

ზნაური. (საკ. კორ.). ხვალ გაზაფხულის პირველი დღეა. რაიონის მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში თუმცა ღრმა თოვლია, მაგრამ მზის მცხუნვარება ყოველდღე მატულობს.

საგაზაფხულო სამუშაოებისათვის კარგად მოემზადნენ ზნაურელი კოლმეურნეები. რაიონში ჯერ კიდევ შემოდგომით გადახნეს მზრალად ნიადაგი. ახლა ათასობით ჰექტარი მოხნული მინდორი თოვლის სქელი ფენის ქვეშ მოქცეულა. მზრალი ხომ სიუხვის დედაა, ამიტომ ზნაურელები მომავალ მოსავალს იმედის თვალით უყურებენ.

რაიონის კოლმეურნეობებმა დიდიხანია ჩაყარეს და სათეს კონდიციამდე აიყვანეს გაზაფხულის კულტურების თესლი. ამ საკითხს დიდ ყურადღებას უთმობდნენ რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოები. მაღალხარისხოვანი თესლი აქვთ სოფლების ავნევის, თიღვის, ნულის, ქვათეთრისა და ფრონის კოლმეურნეობებს.

დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების, კერძოდ, ტრაქტორების, გუთნების, სათესლების რემონტი კოლმეურნეობებში. მექანიზატორები ელოდებიან თოვლის აღებას და სამუშაოთა დაწყებას.

არც მებაღე-მევენახეები არიან უსაქმოდ. ბაღებსა და ვენახებში გაქვთ ორგანული სასუქი. ამ საქმეზე გაცხოველებით მუშაობენ მარხილები, ლაფეტები, მზადდება სარი, შპალერი.

მარტის ანგარიშში

თელავლოა. (საკ. კორ.). რაიონის საწარმოებმა აღმავლობით დაიწყეს ხუთწლედის მესამე წელი. მოსკოვილთა მოწოდებას კონკრეტული საქმეებით ეხმაურება ტყიბულელების სახელოვანი კოლექტივი, რომელმაც იანვრის დავალება 149 პროცენტით შეასრულა, გეგმის გადამეტებით გამოუშვა 70.000 მანეთის ელექტროენერგია, ენერგეტიკოსები კიდევ უკეთ შრომობენ თებერვალში. მათ **20 თებერვლისათვის შეასრულ ე ს ელექტროენერგიის გამომუშავებ ი ს ორი თვის დავალება.**

გიგანტური კოჭი

ტყიბული. (ტელეფონით, „კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში ელმავალმა ტყიბულში მოიყვანა სპეციალური სარკინიგზო ბაქანი შემდეგი წარწერით: „ოლოგოგრადი-ტყიბული“. ბაქანზე იდო უნიკალური, ფოლადის ბაგირის გიგანტური კოჭი. ეს ბაგირი, რომელიც ვოლგოგრადის ფოლადის მავთულის ქარხანამი დაამზადეს, განკუთვნილია საჰაერო-საბაგირო გზისათვის. იგი მეშახტეთა ქალაქს — ტყიბულს უმოკლესი გზით დააკავშირებს ახლადაგებულ ადგილსამყოფელთან „ცხრაჯვართან“.

საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობამ დაამთავრა მუშაობა

28 თებერვალს რესპუბლიკის კომკავშირის XXVII ყრილობაზე გრძელდებოდა კამათი საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის საანგარიშო მოხსენებათა გამო. კამათში მონაწილეობდნენ კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **რ. სარიშვილი,** გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორი **გ. ბედნეიშვილი,** საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი **ტანვარჯოში ა. ჯანუაშვილი.**

ყრილობის დელეგატებს სვერდლოვსკის ოლქის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის სახელით მიესალმა კომკავშირის სვერდლოვსკის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი **ვ. კონდრატიევი.**

გრძელდება კამათი. გამოვიდნენ გორის მებაღეობის საცდელი სადგურის დირექტორი **გ. ბადრიშვილი,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **მ. ჩიხლაძე.**

კითხულობენ მისალმებებს, რომლებიც ყრილობამ მიიღო მოსკოვის, ლენინგრადის, მოლდავეთის და სხვა კომკავშირული ორგანიზაციებისაგან.

კამათში გამოვიდა კომკავშირის ბოგდანოვკის რაიკომის პირველი მდივანი **ს. გუკასიანი.**

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალურ კომიტეტის მეორემ მდივანმა **ა. ალიევმა.**

ყრილობაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **რ. მეტრეველმა.**

ყრილობამ ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება დამაკმაყოფილებლად ცნოს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მუშაობა საანგარიშო პერიოდში. მტკიცდება რესპუბლიკის კომკავშირის სარევიზიო კომისიის ანგარიში.

საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა ხმის დამთვლელი კომისიის თავმჯდომარის ცნობა ფარული კენჭისყრის შედეგების შესახებ. ყველა დასახელებული კანდიდატურა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში არჩეულია.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც მიზნად ისახავს რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციის საქმიანობის შემდგომ გაუმჯობესებას.

საქართველოს კომკავშირის XXVII ყრილობა დახურულად ცხადდება.

ყრილობის მონაწილეებმა მქუხარე ოვაცია გაუმართეს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელს და ორგანიზატორს, საბჭოთა ახალგაზრდობის ბელადსა და მასწავლებელს. (საქდესი).

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

28 თებერვალს გაიმართა რესპუბლიკის კომკავშირის XXVII ყრილობის მიერ არჩეული საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი პლენუმი.

პლენუმმა აირჩია საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო ბ. ბ. ბედინეიშვილის, ბ. დ. ბაბუნიას, ი. ბ. ბამრეკელი, ბ. ბ. ბელაშვილის, ვ. ე. გრაჩოვის, რ. ხ. კონცელიძის, ნ. ი. ლაღიძის, რ. ვ. მეტრეველის, ბ. ვ. ხიხარულიძის შემადგენლობით.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩეულია რ. ვ. მეტრეველი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივნად პლენუმმა აირჩია რ. ხ. კონცელიძე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივნებად არჩეულნი არიან ი. ბ. ბამრეკელი და ნ. ი. ლაღიძე.

პლენუმმა პროპაგანდისა და კულტმასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ დაამტკიცა ნ. ა. ფერეთელი.

სტუდენტი ახალგაზრდობის განყოფილების გამგედ დამტკიცებულია ე. ი. კანდელაკი.

სპორტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის განყოფილების გამგედ პლენუმმა დაამტკიცა რ. ვ. პოკოვა.

პლენუმმა გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქტორად დაამტკიცა ბ. ბ. გელაშვილი.

გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ რედაქტორად დამტკიცებულია ბ. ვ. ბედინეიშვილი.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვ. პ. მჟავანაძე და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ა. ი. კაშალოვი.

გაიმართა საქართველოს ალკკ ახლად არჩეული სარევიზიო კომისიის სხდომა. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულია ე. ხ. ბაკურაძე. (საქდესი).

კომკავშირელი ნუგზარ კვინტარაძე ექვსი წელია თბილგვირაბმშენში გამყვანად მუშაობს. საიუბილეო წლის ნოემბერში იგი სათავეში ჩაუდგა გამყვანთა კომკავშირულ ბრიგადას.

ამ დღეებში ბრიგადამ ახალი თაოსნობა გამოიჩინა. ლენინური კომკავშირის სახელოვანი 50 წლისთავის აღსანიშნავად ახალგაზრდა გამყვანებმა იისრეს წლიური გეგმა ვადამდე, 29 ოქტომბრისათვის შეასრულონ, 1,40 მეტრით დაჩქარონ ცალაში გვირაბის გაყვანის ტემპი, აითვისონ სამი შიმიჯნავე პროფესია და სხვ.

• • •

სურათებზე: გამყვანები (მარცხნიდან მარჯვნივ) შ. კამკამიძე, ნ. კვინტარაძე (ბრიგადირი), ტ. ჩიხლაძე, ტ. ბერიკაშვილი, შ. ტურაშვილი და ა. გელაშვილი.

ფოტო ზ. ბიჩიკაევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის პროფკავშირთა XIV ყრილობა

27 თებერვალს სსრ კავშირის პროფესიულ კავშირთა XIV ყრილობის საღამოს სხდომაზე დაიწყო კამათი საანგარიშო მოხსენებათა გამო. პირველი გამოვიდა უკრაინის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ვ. ბ. კლიმენტი.

კამათში მონაწილეობა მიიღეს: მოსკოვის საქალაქო პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ვ. ი. ბრისტიანინოვმა, მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ი. კოსტიუშევმა, ნოვოსიბირსკის საღოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანემ ვ. მ. მიხმე

მომთხოვნელობა და პასუხისმგებლობა

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲘᲡ მთა სოფლებიდან, ჯავის, ლენინგორისა და ზნაურის რაიონების თოვლით დაფარული ხეობებიდან დელეგატები მოვიდნენ... კონფერენციაზე არიან რიგითი კოლმეურნეები, ბრიგადირები, ფერმების გამგეები, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, საწარმოთა მუშები და მშენებლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები, ისინი მსჯელობენ პარტიის სოფლის კომიტეტის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეულ მუშაობაზე.

საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის სოფლის კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ჯუსოევმა სოფლის კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, აგრეთვე კამათის მონაწილეებმა კონფერენციაზე წარმოადგინეს ავტონომიური ოლქის მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის ზრდისა და აყვავების ნათელი სურათები.

დიახ, სამხრეთ ოსეთის მშრომელებს, სოფლის პარტიულ ორგანიზაციას საანგარიშო პერიოდში მართლაც ჰქონდათ იმის საფუძველი, რომ ქების, კმაყოფილების სიტყვები ეთქვათ იმ ადამიანებზე, რომლებმაც ძალა და ენერგია არ დაიშურეს სამეურნეო და კულტურულ საქმიანობაში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

საანგარიშო პერიოდი აღსავსე იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენებით. სამხრეთ ოსეთის შვიდიათასიანმა პარტიულმა ორგანიზაციამ თავის ყოველდღიურ სახელმძღვანელოდ მიიღო პარტიის XXIII ყრილობის გადაწყვეტილებანი. სამხრეთ ოსეთმა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებისათვის ლენინის ორდენი დაიმსახურა. ოლქის მშრომელებს საიუბილეო წელს თავდადებული შრომისათვის ჯილდოდ გადაეცათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს სამახსოვრო წითელი დროშა. სამახსოვრო საიუბილეო წითელი დროშები გადაეცა აგრეთვე ზნაურისა და ჯავის რაიონებს, ოლქის მრავალ საწარმოს, კოლმეურნეობას, ორგანიზაციასა და დაწესებულებას.

ყოველივე ამის შესახებ სიამაყით ლაპარაკობდნენ პარტიული კონფერენციის დელეგატები. სოციალისტური შჯბრებით გაჩაღებულმა მაღალნაყოფიერმა შრომამ თავისი შედეგი გამოიღო სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. ოლქის მრეწველობამ გასული წლის საწარმოო პროგრამა საერთო პროდუქციის გამოშვებისა 114 პროცენტით გაანაღდა. საწარმოო კოლექტივების უმრავლესობამ გასული სამეურნეო წლის დავალება ჯერ კიდევ დეკემბრის პირველ ნახევარში შეასრულა. მრეწველობის საერთო მოცულობა 1967 წელს 1965 წელთან შედარებით 49 პროცენტით გადიდდა.

წარმატებით შეასრულეს მრეწველობის ობიექტებმა მიმდინარე წლის პირველი თვის დავალებანიც. კვაისის ტყვიათუთიის საბადოს მაღაროთსამმართველოს დირექტორმა თ. ჯიოევმა, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის საოლქო სამშენებლო სამმართველოს მერამატურეთა ბრიგადის ხელმძღვანელმა პ. ტიტოვმა აღნიშნეს, რომ კარგა ხანია ცალკეული მუშების, ბრიგადების, საამქროების მიერ გეგმების შესრულება წესად იქცა, დღეს ლაპარაკია იმაზე, რომ საწარმოთა კოლექტივებმა მთლიანად და გადაჭარბებით გაანაღდონ პროგრამა, ამასთან მკვეთრად გაიუმჯობესონ გამოშვებული პროდუქციის ხარისხი, შეამცირონ მისი თვითღირებულება. ასეთი საწარმოები კი უკვე გამოჩნდნენ სამხრეთ ოსეთში.

კონფერენციაზე აღქვა, რომ ახლახან მწყობრში ჩადგა და მალე პირველ პროდუქციას გამოუშვებს ცხინვალის ავტობუსების სარემონტო ქარხანა, რომლის სიმძლავრე თანდათან გაიზრდება და წლის ბოლოს პროექტით გათვალისწინებულ დონეს მიაღწევს. მალე მწყობრში ჩადგებიან სხვა ახალშენებლები, მათ შორის საცხოვრებელი სახლები, კომუნალური ობიექტები, კულტურის კერები.

მაგრამ, — ამბობდნენ კამათის მონაწილენი, — ჯერ კიდევ არიან ოლქში ჩამორჩენილი საწარმოები, რომლებიც თავს ვერ არმომეჯენ საწარმოო დავალებებს და უკან სწევენ ოლქის მრეწველობის საერთო მაჩვენებლებს. დაბალია საწარმოო მაჩვენებლები „საქთალის“ წნელისის ფაბრიკაში, სადაც შარშან თალკის გამოშვების წლიური დავალება მხოლოდ 95 პროცენტით შესრულდა. ასევე ჩამორჩა გეგმების შესრულებაში ცხინვალის საშენ მასალათა კომბინატი, რომელმაც გეგმების შეუსრულებლობით რამდენადმე შეაფერხა მშენებლობა ოლქში.

პარტიის ცხინვალის, ზნაურის, ჯავის, ლენინგორის რაიონული კომიტეტების მდივნებმა გ. თადტაევმა, გ. თხელიძემ, უ. ხანიკოევმა, ა. მარგიევმა, აგრეთვე ცხინვალის რაიონის სოფელ დმენისის კოლმეურნეობის ბრიგადირმა, სოციალისტური შრომის გმირმა გ. ხაგაევმა თავიანთ გამოსვლებში ყურადღება გამახვილეს სოფლის მეურნეობის საკითხებზე, რის გარშემო საკმაოდ ვრცლად იყო ლაპარაკი საანგარიშო მოხსენებაშიც.

ეს ბუნებრივიც არის, რადგან სამხრეთ ოსეთი ძირითადად სოფლის მეურნეობის პროდუქტებს აწარმოებს. აღინიშნა, რომ გასულ სამეურნეო წელს, როცა ჩვენი ქვეყანა გაცხოველებით ემზადებოდა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის შესახვედრად, სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებმა, ხაბეთა მეურნეობებმა საგულისხმო წარმატებებს მიაღწიეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითად დარგებში, რის მოხებითაც ოლქმა ვადაზე ადრე გაანაღდა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის ძირითადი პროდუქტების მიყიდვის დავალებანი.

სამხრეთ ოსეთის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში განსაკუთრებით უხვად მოვიდა შაქრის ჭარხალი, სიმინდი, ბოსტნეული. საოლქო მეურნეო პარტიულმა ორგანიზაციებმა ადგილებზე დიდი ორგანიზაციული მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის ამ დარგებში ბრიგადების, რგოლების, ცალკეული კოლმეურნეების შრომის ნაყოფიერების ამაღლებისათვის. კონფერენციაზე დაასახელეს კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, რომლებმაც ამ კულტურების გარდა წარმატებები მოიპოვეს მეურნეობის სხვა დარგებშიც.

საუკეთესო სამეურნეო მაჩვენებლები აქვს ცხინვალის რაიონის სოფელ კეხვის კ. მარქსის სახელობის კოლმეურნეობას. აქ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობამ საშუალოდ ჰექტარზე 650 ცენტნერი შეადგინა, სიმინდისამ — 48 ცენტნერი. საშუალოდ ერთ საფურაეე ძროხაზე მიღებულ იქნა 500 ლიტრით მეტი რძე, ვიდრე ამას ვალდებულება ითვალისწინებდა. ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვთ ამავე რაიონის სოფლების დმენისის, ძარწემის, ლენინგორის რაიონის სოფელ წინაგრის კოლმეურნეობებს, ერიდვის საბჭოთა მეურნეობას. ხილის სარეკორდო მოსავალი მიიღეს ზნაურის რაიონის სოფელ ავნევის ბურამშვილის სახელობის კოლმეურნეობაში. თავი ისახელეს აგრეთვე მეცხვარეობის კოლმეურნეობებმა, სულადობის ნამატში, აგრეთვე მატყლის ნაპარსში თვალსაჩინო მაჩვენებლები აქვთ ლენინგორის რაიონის სოფლების უკანამბარის, დადიანეთისა და ლარგვისის კოლმეურნეობებს. მათი ცხვარი ახლაც ჩინებულად იზამთრებს კასპიისპირეთის საზამთრო საძოვრებზე.

მიუხედავად ამ წარმატებებისა, — აღნიშნავდნენ მომხსენებელი და კამათის მონაწილენი, — სოფლის კოლეგენსტებს ჯერ კიდევ დიდი საზრუნავი აქვთ. კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში ვლავ მრავლად არის გამოუყენებელი რეზერვები და შესაძლებლობანი, რომელთა ამოქმედება პარტიული ორგანიზაციების სისხლხორცეული ფა და გადაუდებელი საქმეა. განსაკუთრებით ბევრია ხარვეზები მარცვლეულის მეურნეობაში. დასამალავი რა დია, რომ ოლქში არიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რომლებიც ხორბლის, ქერის, სიმინდის დაბალ მოსავალს იღებენ. ეს იმიტომ, რომ ზოგჯერ უხეშად ირღვევა თესვის, ნათესების მოვლა-დამუშავების აგროტექნიკა, რაშიც ბრალი მიუძღვით სოფლის მეურნეობის სპეციალისტებსაც და მექანიზატორებს, რომელთა მუშაობის, — ორგანიზაციული, — ხელმძღვანელობას უთმობენ კომუნისტებისა და უპარტიოების პოლიტიკური სწავლებას, გაფართოვდა ლექციური პროპაგანდა და მისი თემატიკა, ხელმძღვანელი პარტიული და სამეურნეო მუშაკები უფრო ხშირად გამოდიან პოლიტიკური მოხსენებებით მშრომელთა ფართო მასების წინაშე, ამაღლდა აგრეთვე კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებების როლი მშრომელთა კომუნისტურ აღზრდაში. მეტ წილ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში პოლიტიკური მუშაობა მჭიდროდ უკავშირდება სამეურნეო ამოცანებს, მაგრამ, როგორც ეს კონფერენციაზე ითქვა, ზოგან, განსაკუთრებით დაშორებულ მთა სოფლებში და კოლმეურნეობათა ცალკეულ უბნებზე, პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა ფორმალურ ხასიათს ატარებს. წრეების, თეორიული სემინარების შუშაობა ზოგჯერ დაბალ იდეურ-თეორიულ დონეზე წარმოდგს.

ეჭვს გარეშეა, რომ ამ კონფერენციის შემდეგ, რომელმაც კრიტიკისა და თვითკრიტიკის ნიშნით ჩაიარა, სამხრეთ ოსეთის პარტიულ ორგანიზაციებს, კომუნისტებს უფრო ცოცხალი, შემოქმედებითი მუშაობა მართებთ, რომ საამკარიოზე გამოტანილი ნაკლოვანებები უახლოეს ხანში აღმოიფხვრას.

კონფერენციაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ გ. ძოწენიძემ.

გ. ჩიქვინიძე,
ი. თედიაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტები.

ᲕᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲡᲗᲐᲜ

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲛᲔᲢᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲣᲤᲠᲐᲖᲔ!

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს კგების მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

მოხსენება კგების მრეწველობის სამინისტროს 1967 წლის მუშაობის შედეგებისა და ხუთწლედის მესამე წლის ამოცანების შესახებ გააკეთა რესპუბლიკის კგების მრეწველობის მინისტრმა გ. ვადაკკორიამ.

მოლდავეთის კგების მრეწველობის მუშაკთა სახელით მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა დელეგაციის ხელმძღვანელმა, მოლდავეთის კგების მრეწველობის მინისტრმა ი. შკორდნეევმა.

თათბირზე სიტყვით გამოვიდა სსრ კავშირის კგების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე ფ. კოლომიეცი.

თათბირის მონაწილეებმა სამინისტროს საწარმოთა კოლექტივების სახელით ვალდებულება იკისრეს ხუთწლედის მესამე წლის დავალება შეასრულონ **25 დეკემბერს, წლიური დავალების გადამეტებით გამოუშვან 5 მილიონი მანეთის პროდუქცია, აამუშაონ 10 ავტომატური, მექანიზებული და საკონვეიერო ხაზი და ა. შ.**

ეჯიბრებიან რა ერთმანეთს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის ღირსეული შეხვედრისათვის, საქართველოს კგების მრეწველობის მუშაკებმა ვალდებულება იკისრეს **წარმოების მოცულობის ხუთწლიანი გეგმა შეასრულონ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა — 1970 წლის 1 დეკემბრისათვის.**

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები რ. ფრუიძე, გ. ჩოგოვაძე, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კგების მრეწველობის განყოფილების კგების მრეწველობის სექტორის გამგე ა. პლატონოვი.

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲦᲔᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

საქართველოს მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა სამეურნეო-პროფკავშირული აქტივის კრებაზე მოხსენება 1967 წლის შედეგებისა და ხუთწლედის მესამე წლის ამოცანების შესახებ გააკეთა საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის მინისტრმა მ. ჩხეიძემ.

კრების მონაწილეებმა იკისრეს გადიდებული სოციალისტური ვალდებულებანი. კერძოდ, **წარმოების მოცულობის ხუთწლიანი გეგმა გადაწყვიტეს შეასრულონ 1970 წლის 7 ნოემბრისათვის, ხოლო შრომის ნაყოფიერების ზრდის გეგმა — ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის; ხუთწლედის მესამე წლის საწარმოო გეგმა გათვალისწინებულია შეასრულონ 26 დეკემბრისათვის და წლის დამლევამდე გეგმის გადამეტებით გამოუშვან 14,5 მილიონი მანეთის პროდუქცია.**

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ ამხანაგები რ. ი. ფრუიძე და გ. ი. ჩოგოვაძე.

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაკების აქტივის კრება.

მოხსენება — „1967 წლის გეგმის შესრულების შედეგები და საწარმოთა და ორგანიზაციათა სოციალისტური ვალდებულებანი“ — გააკეთა საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის მინისტრმა ვ. პაატაშვილმა.

აქტივის კრებასთან დაკავშირებით მოეწყო რესპუბლიკის მრავალდარგოვანი კომუნალურ-საბინაო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა.

კომუნალური მეურნეობის მუშაკთა რესპუბლიკური აქტივის კრების მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ლაბაზუა.

ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ

რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა აქტივის კრებაზე ადგილობრივი მრეწველობის მინისტრმა ა. მელაძემ გააკეთა მოხსენება „ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების საიუბილეო წლის მუშაობის შედეგები და 1968 წლის ამოცანები“.

კრების მონაწილეებმა საქართველოს „მცირე ინდუსტრიის“ ყველა მუშაკის სახელით იკისრეს ახალი სოციალისტური ვალდებულებანი 1968 წლისათვის.

ნაკისრია ვალდებულება ვადამდე შეასრულონ ხუთწლიანი გეგმის დავალებანი, ახალი შრომითი წარმატებებით შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს.

ადგილობრივი მრეწველობის მუშაკთა აქტივის რესპუბლიკური კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ნ. გომელაურმა.

ᲗᲘᲗᲝᲔᲣᲚᲘ ᲝᲯᲐᲮᲘᲡ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲝᲠᲯᲘᲡ სახელობის კულტურის სახლში შეიკრიბნენ დამამზადებელი ორგანიზაციების, საკონსერვო მრეწველობის საწარმოთა, სავაჭრო ორგანიზაციების მუშაკები, კოლმეურნეობების თავმჯდომარენი, საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, პარტიის რაიონული კომიტეტების მდივნები, რაიაღმასკომების თავმჯდომარეები, მეცნიერები, სულ 700-ზე მეტი კაცი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს „საქკონსერვხილბოსტანის“ სახელმწიფო კომიტეტის სისტემის მუშაობის შედეგებზე 1967 წელს და ხუთწლედის მესამე წლის ამოცანებზე მოხსენება გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარემ დ. შარაშიძემ.

თათბირზე სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის კგების მრეწველობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ფ. კოლომიეცმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ზ. გელდიაშვილმა.

თათბირის მონაწილეებმა იკისრეს სოციალისტური ვალდებულებანი მიმდინარე წლის გეგმისა და ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულებისათვის.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდნენ კგების მრეწველობის მინისტრი ვ. ვადაკკორია, სოფლის მეურნეობის მინისტრი მ. ღვინჯილია, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ბ. გიგიბერია, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი და კგების მრეწველობის განყოფილების კგების მრეწველობის სექტორის გამგე ა. პლატონოვი.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის საწარმოთა აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა საიუბილეო წლის შედეგებსა და ხუთწლედის მესამე წლის ამოცანებს.

მოხსენება გააკეთა საქართველოს ქვანახშირის კომბინატის უფროსმა დ. ჩიკვაიძემ.

საქართველოს ქვანახშირის მრეწველობის მუშაკები ჩაებნენ ხუთწლიანი პროგრამის ვადამდე შესრულებისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს ღირსეულად შეხვედრისათვის და იკისრეს ვალდებულება **მიმდინარე წლის გეგმა შეასრულონ 28 დეკემბრისათვის და დავალების გადამეტებით ამოღონ 45 ათასი ტონა სათბობი, ხოლო ხუთწლედის მანძილზე — 200 ათასი ტონა.**

გადაწყვეტილია ხუთწლედის დამლევისათვის საექსპლოატაციოდ გადასცეს ტყიბულში შახტები აღმოსავლეთი — 2 და სტალინის სახელობისა — 2.

(საქდესი).

ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲣᲡᲐᲙᲕᲔᲑᲝᲓᲐ?

ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲐᲖᲔ

ᲑᲠᲫᲕᲜ კაცს უთქვამს: მე არ მინდა შეგობარი, რომელიც ყველაფერში შეთანხმება თავის ქნევით, რადგან ამას ჩემი ჩრდილი უკეთესად აკეთებს... დიახ, არ ვეთანხმები ამბანაგებს, რომლებსაც სურთ დაამტკიცონ, თითქოს მთებში პირუტყვის საკმარისი საკვები არ არის და ამის გამო იძულებული არიან ჩალა და ნამჯა რაიონს გარეთ — ჩრდილოეთ კავკასიაში შეიძინონ. ვეთანხმები, რომ საჭიროა ვზრუნავდეთ ფერმის მუშაკებზე, რომ მათ ჰქონდეთ შრომის ნორმალური პირობები, მატერიალურად და მორალურად დავანტერესოთ ისინი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

სანამ ამაზე გავაჩაღებდით საუბარს, შევიგინოთ ფერმებში. აი თუნდაც ბაზალეთის კოლმეურნეობის პირუტყვის იმ სადგომში, დუშეთს გაღმა, სოფელ კობიანთკარში რომ მდებარეობს. მახსოვს, რამდენიმე წლის წინათ როგორ იზეიმეს კოლმეურნეებმა რაიონში პირველი მექანიზებული ფერმის გახსნა, რომელშიც იყო ავტოსარწყულებელი, კიდური გზა, ელექტრონისქვილი, საკვების შემაორთქლებელი, ძირხვენების საჭრელი მანქანა... შეეგძლოთ უკითხავად გაგეგოთ, რომელ ძროხას რა ერქვა, მისი ასაკი, წველადობის მაჩვენებელი, გაგეგოთ თვითეული მწველავის გვარი და სახელი, მათი გეგმები და წარმატებები.

ფერმის ეზოში ყარაული პეტრე ბუჩაშვილი და მწყემსები ნიკოლოზ თათარაშვილი, ალექსი მთიულიშვილი და შაქრო პაპაშვილი დაგვხვდნენ.

—გამარჯობა, როგორა ხარ, შაქრო? — შეეკითხენი ძველ ნაცნობს პაპაშვილს.

— ვარ, არა მიჭირს რა, სიკვდილის მეტი ვერავინ ვერაფერს დამაკლებს.

— რა დროს სიკვდილია, ჭაბუკივით გამოიყურები.

— კაცო, ამათი შემხედვარე მა რა მომიგა, — თქვა შაქრომ და იმ სადგომისაკენ გაგვიძღვა, რომელშიც მოზარდი პირუტყვი იყო მოთავსებული.

ბოსელი ძველია, პრიმიტიულად ნაგები, ვერ იტყვი, რომ მას სისუფთავე აკლდეს, მაგრამ გული დაგვწყდა, როცა ზღვეზე მყარილ ჯანდაც ხბოებს დავხედეთ.

შაქრო კი თავისას განაგრძობდა: — ეგენი საკრამულიდან მორეკეს, ჩვენი ძროხები იქ ზაასხეს, გულქვა ხალხი ყოფილა საკრამულში, ეტყობა პირუტყვი გააცივეს, ზოგიერთს კუდით ვაყენებთ...

— ვაჭმევთ, მაგრამ ჭამის თავიც არა აქვთ. როცა საკრამულელებზე ჯავრობდა, გულში ვეთანხმებოდით შაქროს. მართლაც, როგორ შეიძლება ასეთი უპასუხისმგებლობა პირუტყვის მოვლაში.

შარშან ბაზალეთის კოლმეურნეობას, რომელიც ყველაზე მსხვილი სასოფლო-სამეურნეო არტელია დუშეთის რაიონში, შეემატა ორი ახალი სახბორე და ღორების სადგომი. ეს თავისთავად სასახარულო ამბავი იქნებოდა, შენობები უხარისხოდ რომ არ აგებოთ, დუშეთის საკოლმეურნეო მშენებლობის მუშაკებმა (საბჭოს თავმჯდომარე ი. მეტრეველი) თვითნებურად გადაუსვეს პროექტს, რის ძალზეც ამ ბოლოს ბევრ ადგილას ბეტონის ბოძებზე ბეტონის ბოძებზე ბეტონის ბოძებზე

თვალსაჩინო მოვლენა

პრესა ბუდაპეშტის საკონსულტაციო შეხვედრის შესახებ

ბერლინი

„ძმური აზრთა გაზიარება მთელი მსოფლიოს კომუნისტებს შორის“ — ასე ახასიათებს „ნოიეს დოიჩლანდი“ დღეს კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრას ბუდაპეშტში.

გაზეთი ხაზს უსვამს, რომ შეხვედრის მიზანია კოლექტიური შეთანხმების მიღწევა კომუნისტური და მუშათა პარტიებს —იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების ავანგარდის საერთაშორისო თათბირის მოწვევის შესახებ.

ვარშავა

პოლონური გაზეთი „ჟიჩე ვარშავი“ აღნიშნავს, რომ უდიდეს ინტერესს იჩენს მთელი მსოფლიო საკონსულტაციო შეხვედრისადმი.

ყველა პოლონური გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრას ბუდაპეშტში. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ წერს, რომ „არ დადასტურდა კომუნისტური მოძრაობის ერთობის მტერთა წინასწარმეტყველება, რომლებსაც ეჭვი ეპარებოდათ, რომ ბევრი პარტია მონაწილეობას მიიღებდა საკონსულტაციო შეხვედრაში. ბუდაპეშტში ჩამოვიდნენ დელეგაციები, რომლებიც პარტიათა უმრავლესობას წარმოადგენენ. არსებითად პარტიების დიდი უმრავლესობა, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, ესწრაფვის კომუნისტური მოძრაობის მტკიცე შეკავშირებასა და მოქმედების ერთობის განმტკიცებას“.

სოფია

ბულგარეთის პრესაში ცენტრალური ადგილი უკავია ცნობებს იმის შესახებ, რომ ბუდაპეშტში გაიხსნა კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრა.

„რაბოტნიჩესკო დელო“ ახასიათებს რა ბუდაპეშტის ფორუმს, როგორც თვალსაჩინო მოვლენას მოძმე მარქსისტულ-ლენინური პარტიების ცხოვრებაში, წერს: „საკონსულტაციო შეხვედრის მთავარი ამოცანა ის არის, რომ გადაჭრას ახალი თათბირის მომზადებასთან დაკავშირებული საკითხები კომუნისტთა და მშვიდობის, დემოკრატიისათვის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის ყველა მებრძოლის შეკავშირების განსამტკიცებლად. ინტერნაციონალიზმისა და პროლეტარული სოლიდარობის პოზიციებიდან მუდამ შეიძლება დავძლიოთ ყოველგვარი უთანხმოება“.

ვრაცა

ჩეხოსლოვაკიის ყველა ცენტრალური გაზეთი პირველ გვერდებზე დიდი სათაურებით „ბუდაპეშტის შეხვედრა დაიწყო“ აქვეყნებს ინფორმაციას ბუდაპეშტში კომუნისტური და მუშათა პარტიების წარმომადგენელთა საკონსულტაციო შეხვედრების გახსნის შესახებ.

„რუდე პრავო“ და სხვა გაზეთები წერენ, რომ ამ შეხვედრაში მონაწილეობენ დელეგაციები, რომლებიც 30 მილიონ კომუნისტს წარმოადგენენ. პრესა ბეჭდავს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის: იანოშ კადარის მისასალმებელი სიტყვის შინაარსს.

საკრთაშორისო ცხოვრება

ვიეტნამი-მსოფლიოს ყურადღების ცენტრში

მსოფლიოს დეკეშათა სააგენტოები გვატყობინებენ

პაჭრიოტთა წარმატება

პანოი, 28 თებერვალი. (საკდესი). ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტომ, რომელიც იმოწმებს განთავისუფლების სააგენტოს, გადმოსცა სამხრეთ ვიეტნამის განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების სარდლობის მიმდინარე წლის 26 თებერვლის მესამე სპეციალური კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია, რომ **29 იანვრიდან 26 თებერვლამდე ამერიკა-საიგონის ჯარებისა და სატელიტი ქვეყნების ჯარების წინააღმდეგ ბრძოლების დროს განთავისუფლების სახალხო შეიარაღებულმა ძალებმა და სამხრეთ-ვიეტნამელმა ხალხმა უდიდესი წარმატებანი მოიპოვეს: მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის 90.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, მათ შორის ამერიკის ჯარებისა და სატელიტი ქვეყნების ჯარების 20.000-ზე მეტი ჯარისკაცი.**

განთავისუფლების ძალების სარდლობის კომუნიკეში, კერძოდ, აღნიშნულია, რომ 30 დღის ბრძოლების მანძილზე განთავისუფლების ძალებმა და სამხრეთ-ვიეტნამელმა ხალხმა მოსპეს მოწინააღმდეგის სამი ჯავშანსატანკო პოლკი, 39 ქვეითი ბატალიონი და 120 ასეული, 1800-ზე მეტი თვითმფრინავი, 1300 ტანკი და ჯავშანტრანსპორტიორი და ბევრი სხვა სამხედრო ტექნიკა და აღჭურვილობა.

სამხრეთვიეტნამელმა პატრიოტებმა არტილერიისა და — ნალმტყორცნთა ცეცხლი და რაკეტები დაუშინეს 45 აეროდრომსა და სამხედრო ბაზას, იერიში მიიტანეს მრავალ გამაგრებულ რაიონზე, მოწინააღმდეგის დივიზიებისა და კორპუსების შტაბებზე და დიდი მატერიალური ზარალი მიაყენეს მტერს.

განთავისუფლების რევოლუციურმა ძალებმა წარმატებითი შეტევების შედეგად მოწინააღმდეგისაგან გაათავისუფლეს დიდი სასოფლო რაიონი და მთელი რიგი დასახლებული პუნქტები, სადაც 1,2 მილიონზე მეტი კაცი ცხოვრობს.

ამერიკელებმა უნდა დატოვონ ვიეტნამი!

ნიუ-იორკი, 28 თებერვალი. (საკდესი). ამერიკელთა ახლანდელი დიდი უკმაყოფილება ვიეტნამის ომის გამო „განსაკუთრებული მოვლენაა შეერთებული შტატების ისტორიაში“, განაცხადა გუშინ სენატორმა იუჯინ მაკართიმ, რომელსაც დასახელებული აქვს თავისი კანდიდატურა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე დემოკრატიული პარტიისაგან.

ქალაქ კონკორდში (მასაჩუსეტსის შტატი) მოწყობილი რეფერენდუმის მსვლელობაში მოსახლეობის 39 პროცენტმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა დატოვონ ვიეტნამი, თქვა სენატორმა. კორეის ომის დროს, ხაზი გაუსვა მან, მოსახლეობის მხოლოდ ორი-სამი პროცენტი გამოდიოდა ომის წინააღმდეგ.

მაკარტმა განცხადება გააკეთა ტელევიზიით მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ კემბრიჯში.

შენყდეს დაბომბვა!

ფინეთის მთავრობის განცხადება

ჰელსინკი, 27 თებერვალი. (საკდესი). ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორიის დაბომბვის შეწყვეტას რაიმე წინასწარი პირობის დაუთქმელად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშვიდობიანი მოლაპარაკების დაწყებისათვის, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ფინეთის მთავრობის სახელით გაავრცელა ფინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. კარიალაინენმა.

ვიეტნამის პროგლემა, ხაზგასმულია განცხადებაში, სამხედრო გზით ვერ გადაიჭრება. მშვიდობას მივაღწევთ მხოლოდ მოლაპარაკების გზით.

ვაშინგტონი კურსს არ ცვლის

ლ. ჯონსონის განცხადება

ვაშინგტონი. 28 თებერვალი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობს ახლანდელ კურსს ვიეტნამში და არ აპირებს გადაუხვიოს ამ კურსს, კვლავ განაცხადა პრეზიდენტმა ჯონსონმა, რომელიც გუშინ გამოვიდა დალასში სოფლის რაიონების ელექტრიფიკაციის კოოპერატივთა ეროვნული ასოციაციის წევრთა კრებაზე.

პრეზიდენტმა, რომელიც აშკარად ცდილობდა ზეგავლენა მოეხდინა ქვეყნის საზოგადოებრიობაზე, სულ უფრო გადაჭრით რომ გამოდის ვიეტნამის საკითხში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევის წინააღმდეგ, მოუწოდა ამერიკელებს „ერთობისათვის“. იგი ამტკიცებდა, თითქოს მთავრობის ახლანდელი საგარეო პოლიტიკიდან ყოველი გადახვევა მხოლოდ „გაახანგრძლივებს სისხლისმღვრელ კონფლიქტსო“. ამავე დროს პრეზიდენტმა ფაქტიურად აღიარა, რომ ამერიკელი აგრესორები ვიეტნამის მიწა-წყალზე ჩიხში მოექცნენ: უნდა გავიაროთ „გრძელი გზა“ ვიეტნამში, განაცხადა მან.

451-ე გაფრთხილება

პეკინი, 28 თებერვალი. (საკდესი). 27 თებერვალს ორმა ამერიკულმა თვითმფრინავმა (ერთმა 8 საათსა და 40 წუთზე, მეორემ— 11 საათსა და 17 წუთზე) დაარღვია ჩინეთის საჰაერო სივრცე. ამასთან დაკავშირებით ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა გამოაქვეყნა 451-ე სერიოზული გაფრთხილება. ამას იუწყება სინხუას სააგენტო.

ვაშინგტონი

ჯონსონი

ფინეთი

ინდონეზია

ინდონეზიელ ფეოდალთა ბანდიტიზმი

ჯაკარტა, 28 თებერვალი. (საკდესი). ინდონეზიელ ფეოდალთა ბანდიტიზმი ინტენსიურ ხასიათს ატარებს. ბანდიტიზმი ინდონეზიელ ფეოდალთა ერთ-ერთ ეფექტურ ბერკეტად ქცეულა ინდონეზიელ ხალხთან ბრძოლაში. ბანდიტიზმი ინდონეზიელ ფეოდალთა ერთ-ერთ ეფექტურ ბერკეტად ქცეულა ინდონეზიელ ხალხთან ბრძოლაში.

ინდონეზია

ინდონეზიელ ფეოდალთა ბანდიტიზმი

ა.ს.გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო თეატრი

ГОСУДАРСТВЕННЫЙ ТЕАТР имени А.С.ГРИБОЕДОВА

გეწვევით ჩვენს სპექტაკლებზე!

გვესაუბრება თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორი პ. მურულია

ამჟამინდელ დღეა თავისი ოცდამეთექვსმეტე სეზონი გახსნა თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის რუსული დრამის სახელმწიფო თეატრმა.

ჩვენი თეატრის სპექტაკლები საგანგებოდ რეჟისტრირებულ რკინაბეტონის სახლის შენობაში იმართება. მაყურებლებს მოსწონთ შესანიშნავი ფოიე, სახეშეცვლილი დარბაზი და სცენა. ჩვენ წმინდა პროფესიული აზრით კმაყოფილი ვართ სცენით, კულისებით და სპეციალური დამხმარე სათავსებით, რაც, მოგეხსენებათ, თეატრისათვის ესოდენ საჭიროა.

ირგვლივ ყველაფერს კრიალებს, ყველაფერს სიახლე ეტყობა, მთელ ჩვენს კოლექტივს მადლობის მეტი არაფერი ეთქმის. დარწმუნებული ვართ, ამავე აზრისა არიან მაყურებლებიც.

სეზონის გახსნის პირველ დღეს თბილისელებმა ნახეს პრემიერა. წარმოდგენილი იყო დრამატურგ გიორგი მდივნის ორმოქმედებიანი დრამა „შინ ძია მიშა“.

ჩვენი კოლექტივის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ახალი ნამუშევარია ლ. ზორინის ორმოქმედებიანი ლირიკული დრამა „ვარშავიული მელოდია“, რომელსაც თბილისელები იცნობენ აგრეთვე მოსკოვის ვახტანგოვის სახელობის თეატრის დადგმით. ამ ნაწარმოებს ხშირად ორი მსახიობის სპექტაკლს უწოდებენ. დრამაში მონაწილეობენ, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ელენე კილოსანიძე და რესპუბლიკის სახალხო არტისტი არჩილ გომიაშვილი.

გარდა ამ ორი სპექტაკლისა, მაყურებლები ნახავენ უ. გიბსონის სამმოქმედებიან დრამატულ კომედიას „ორნი საქანელაზე“, ესტონელი დრამატურგის ა. ლივესის „ნაცრისფერ ჭუდს“, ჩ. აიტმატოვის — „ჩინარო, ჩემო წითელთავსაფრიანო“, კ. ბუაჩიძის „ეზოში ავი ძაღლია“, კ. ხოინსკის — „დამის ამბავს“ და სხვ.

თეატრის მთავარი რეჟისორია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ს. ჭელიძე. რეჟისორები, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე კონსტანტინე სურმავა და ნელი ემბა ახალ პიესებზე მუშაობენ. მიუხედავად ამისა, ალბათ მაინც დაგვჭირდება მოვიწვიოთ რეჟისორები სხვა თეატრიდან.

მინდა გაგაცნოთ თეატრის მსახიობები, რომლებიც გრიბოედოვეელებთან სხვა თეატრებიდან მოვიდნენ. უწინარეს ყოვლისა ეს არის მიხეილ იოვი, რომელიც მთავარ როლს ასრულებს ზემოთ აღნიშნულ გ. მდივნის პიესაში. ახლები არიან ამჟამ ხაერეტდინოვი და ნიკოლოზ დენისენკო.

თეატრს შეემატა ახალგაზრდა მსახიობთა ნაკადი. ესენი არიან თბილისის რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი ირინე კვიციანაძე, ნატალა გოლოვასტიკოვა, ზამირა გრიგორიანი, ელიზბარ კუხალეიშვილი. ეს ახალგაზრდები მონაწილეობას მიიღებენ ჯონ პატრიკის პიესაში „უცნაური ქალბატონი სევიჯი“. აქვე უნდა დავძინოთ, რომ თბილისის თეატრალური ინსტიტუტი თუ ორ წელიწადში ერთხელ მაინც მოამზადებს რუსულ ჯგუფს გრიბოედოვის თეატრისათვის, ეს საჯარებელო იქნება, რადგან დროდადრო თეატრში ახალგაზრდა მსახიობების მოსვლა და მატება აუცილებელია და ხელს შეუწყობს თეატრის რეპერტუარის გამდიდრებას, მრავალფეროვნებას.

დარწმუნებული ვართ, თბილისელებს უყვართ თავიანთი რუსული თეატრი, არაერთი მსახიობი დიდი სიყვარულითა და პოპულარობით სარგებლობს. გრიბოედოველთა გამოჩენა ეკრანებზე, კინოეკრანსა და ტელეეკრანზე მუდამ სასიხარულოა საქართველოს თეატრალური საზოგადოებრიობისათვის.

ამჟამად კარგი შენობა და მუშაობის მშვენიერი პირობები გვაქვს. შემოქმედებითი სიცოცხლე ჩქეფს სცენაზეც და კულისებს იქითაც. დაგვიანებით გახსნილ სეზონს მაინც ვულოცავთ ჩვენს მაყურებელს, ჩვენს სცენაზე კვლავ ნახავთ თქვენს საყვარელ მსახიობებს — რესპუბლიკის სახალხო არტისტებს ნატალია ბურმისტროვას, თამარ ბელოუსოვას, მავრ ბიასეცკის, დანიელ სლავინს, არჩილ გომიაშვილს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტებს ელენე კილოსანიძეს, ალენტინა სიომინას, ბორის კაზინეცს, იგორ ზლობინს, ალექსანდრე შველოვს, მიხეილ მინეევს, მსახიობებს ანდრეი ნირვანოვს, მარიამ ქებაძეს, რიტა მასტიკს.

მაშ ასე! ახალი სეზონი დაიწყო. გელით ჩვენს სპექტაკლებზე!

„კომუნისტის“ ინტერვიუ

რომ იშრიალონ მწვანე ნარგავებმა...

იზრდება ტყე

უკანასკნელ 10 წელიწადში წითელწყაროს რაიონში მრავალი ღონისძიება განხორციელდა ნარგავების გასამრავლებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით ბევრს მუშაობს სატყეო მეურნეობის კოლექტივი, რომლის ხელმძღვანელია ინუინერი ა. პაპიაშვილი. სატყეო მეურნეობას 20.000 ჰექტარი ფართობი უჭირავს. მათ შორის ტყით დაფარულია 6.500 ჰექტარი. სატყეო მეურნეობამ გასულ 10 წელიწადში 1.200 ჰექტარზე გააშენა კაკლის, იფნის, აკაციის, პანტის, მაუალოსა და სხვა ჯიშების მცენარეები. მარტო შარშან მეურნეობამ ტყის კულტურების სახელმწიფო ზოლი გააშენა 205 ჰექტარზე, ხოლო მინდორსაცავი საკლმეურნეო ზოლი — 198 ჰექტარზე, დაამზადა 700 კილოგრამი თესლი, 350 ჰექტარზე განაახლა გამეჩხერებული ტყე და სხვ.

მეურნეობის კოლექტივის ამოცანაა 1970 წლამდე 2.000 ჰექტარზე დარგოს მწვანე ნარგავები. უკვე დაპლანტაჟებულია მიწის ნაკვეთები, მომარგებულია სარგავი მასალა.

გ. კაკალაშვილი.

ბუნების მეგობრები

საჩხერე. (საკ. კორ.). პატრიოტულ თაოსნობას — „მწვანითი შვემოსოთ მშობლიური მთა-ბარი!“ — მხურვალედ გამოეხმაურნენ საჩხერის ილ. ჭავჭავაძის სახელობის საშუალო სკოლის პიონერ-მოსწავლეები. ისინი სკოლის ნაკვეთზე აწყობენ ყვავილების სანერგეს, საადანაც შემდეგ ნერგებს გადაიტანენ მოსავლელად მიჩენილ ნაკვეთებზე. კერძოდ, ოქტომბრის ქუჩის ბოლოს აკ. წერეთლის ძეგლთან გაშენებულ სკვერში მოაწყობენ ყვავილნარს, რუსთაველის ქუჩის მარჯვენა მხარეზე დარგავენ მცენარეებს, ამასთან სკოლის ნაკვეთზე მოაწყობენ კაკლის სანერგეს. ამ გაზაფხულზე შეაგროვებენ 300 ძირ ალუბალს, კომშს, ქლიავს და დარგავენ სკოლის მიდამოებში.

ქუთაისის „სათამგუჯნეგი“

ქუთაისი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად მრავლდება და სულ უფრო მაღლა მიიწევს სართულები. მიმდინარე წელს მარტო № 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის მშენებლები ქალაქში 23 მრავალსართულიან სახლს აშენებენ. რიონის მარჯვენა ნაპირზე განლაგებულ საცხოვრებელ მასივებს წელს კიდევ შვიდი ახალი რვასართულიანი სახლი დაამშვენებს. ჭავჭავაძის პროსპექტისა და ავტოქარხნის ქუჩების გადაკვეთაზე საფუძველი ჩაეყარა საქალაქო საბჭოს აღმასკომის 14-სართულიან საცხოვრებელ სახლს.

ახალი საწარმო

ამას წინათ ჩვენი რესპუბლიკის კვების მრეწველობის საწარმოებს კიდევ ერთი ახალი საწარმო შეემატა — საბჭოთა საქართველოს 47 წლისთავისათვის მწყობრში ჩადგა და მუშაობა დაიწყო გურჯაანის სპირტის ქარხანამ, რომელიც გადაამუშავებს კახეთის ღვინის ქარხნებიდან მიღებულ ნედლ სპირტსა და დანალექს. ქარხნის სადღეღამისო საწარმოო სიმძლავრეა 1.000 დეკალიტრი უწყალო სპირტი და 1.800 კილოგრამი ღვინის მეავას ნედლეული. („კომ“ კორ.).

კ. ფ. რეკვავა

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსი, სოციალისტური შრომის გმირი, სკკპ წევრი კონსტანტინე ფილიპეს-ძე რეკვავა.

კ. რეკვავა დაიბადა 1910 წელს ქ. ტუაფსეში, მოსამსახურის ოჯახში. 1926 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო ფოთის ინდუსტრიული ტექნიკუმის მექანიკურ განყოფილებაზე, რომლის დამთავრების შემდეგ შეიდა ლენინგრადის საზღვაო ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტში.

კ. რეკვავას მთელი ცხოვრება დაკავშირებული იყო საზღვაო ტრანსპორტთან. იგი სრულიად ახალგაზრდა მოვიდა ფოთის ნავსადგურში, ჯერ იყო დამხმარე მუშა, მერე — მემონტაჟე-ელექტრიკოსი, ტექნიკოსი, ხოლო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მცირე მექანიზაციის უფროსი.

1937 წელს კ. რეკვავა დაინიშნა ფოთის საზღვაო ნავსადგურის უფროსად. ამ დროიდან დაწყებული იგი დაუცხრომლად იბრძოდა ფოთის ნავსადგურის აღჭურვისათვის უახლესი ტექნიკით და მთელ თავის ძალებსა და ცოდნას ახმარდა სატვირთო ოპერაციების ტექნოლოგიის გაუმჯობესების საქმეს. კ. რეკვავას დამსახურება საზღვაო ტრანსპორტის მშენებლობასა და სრულყოფაში აღინიშნა მთავრობის მაღალი ჯილდოებით — 1960 წელს მას მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირობა, ჯილდოებული იყო აგრეთვე წითელი დროშის ორდენით და медалებით. 1966 წელს კ. რეკვავას მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერის წოდება.

კ. რეკვავა იყო არა მარტო საზღვაო ტრანსპორტის გამოჩენილი სპეციალისტი, არამედ აქტიური საზოგადოებრივი მუშაკიც. იგი ორჯერ იქნა არჩეული საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, საქართველოს კომპარტიის ფოთის საქალაქო კომიტეტის ბიუროს წევრად, საქალაქო საბჭოს დეპუტატად.

შესანიშნავი სამეურნეო მუშაკისა და გულითადი ამხანაგის კ. რეკვავას ნათელი ხსოვნა მარად იცოცხლებს მისი თანამებრძოლებისა და მეგობრების გულში.

ამხანაგების ჯგუფი.

„ენერგეტიკული ლიოლიოთეკა“

საცხოვრებელი კორპუსი ტურისტებისათვის

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის თვალწარმტაცი ადგილების სანახავად ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხიდან ყოველწლიურად ათასობით მოგზაური და ტურისტი მოიწრაფვის. მწვანე კონცხზე აქამდე მხოლოდ სეზონური ტურბაზა იყო. ახლახან კი აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა სასტუმროს ტიპის ხუთსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელსაც ცენტრალური გათბობა, სასადილო, კლუბი და ბიბლიოთეკა აქვს, ახლა მწვანე კონცხის ტურბაზას ერთდროულად შეუძლია მოემსახუროს 750 ტურისტს.

„კომუნისტი“ ინტერვიუ

გეწვევით ჩვენს სპექტაკლებზე!

გვესაუბრება თბილისის ა. გრიბოედოვის სახელობის თეატრის დირექტორი პ. მურულია

პრემიერა რუსთაველის თეატრში

თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიურმა თეატრმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა თანამედროვე გამოჩენილი ფრანგი დრამატურგის **მარსელ პანიოლის** პიესა „ტოპაზი“.

სპექტაკლი დადგა რეჟისორმა **ნინა ხატისკაცმა**, მხატვრულად გააფორმა რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვარმა **ზურაბ ნიჟარაძემ.**

მთავარ როლებს ასრულებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები **გიორგი გეგეჭკორი**, **მედეა ჩახავა**, **ედიშერ მაღალაშვილი** და **თამარ თარხნიშვილი**, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი **კარლო საკანდელიძე**, მსახიობი **გურანდა გაბუნია.**

ბუნების მტერთა დიდი დანაშაული

შეჩვეულებული მონადირეები

ფერსათისა და ზეგნის, ზეკარისა და ხანის მთის კალთები, აჯამეთის ტყეები ოდითგანვე ნადირით იყო სავსე.

„ნადირნი მრავალნი და აღვსილნი ტყენი მცირე დიდითურთ. პირველნი ურიცხვნი...“ — ასე წერდა ვახუშტი ამ ადგილებზე.

საბედნიეროდ, ამ ადგილებში ხხვებზე მეტად გადაურჩნენ გაჩინაგებას ტყის ბინადარნი. აჯამეთში სახელმწიფო ნაკრძალი დაარსდა. ნადირიც მომრავლდა და ფრინველიც, მაგრამ, სამწუხაროდ, მომრავლდნენ ბუნების უღირსი შვილები, ვაუას სიტყვით რომ ვთქვათ — შეჩვენებული მონადირეები, რომლებიც თვალებდასისხლიანებული, გაფაციცებული დაეძებენ და სპობენ იშვიათ ნადირ-ფრინველს, ჩვენს ეროვნულ განძსა და სიამაყეს.

სწორედ ზეგნის მთის კალთებზე, სათიბების ტყეში გაემართა ამასწინათ კბილებამდე შეიარაღებულ მეკობრეთა ჯგუფი. მათ ირმებზე ნადირობა ჰქონდათ გამიზნული და საამისოდ არც თხილამურები დავიწყებოდათ.

ზეგნელები — ძმები ვაუა და **მინაბრო ქრისტეფორეს-ძე გიგაშვილები**, **ფალიკო ანთიმოზის-ძე გიგაშვილი**, **მიშა გრიგოლის-ძე ბეგბეერიძე**, ძმები **დუშიკო** და **ბიძინა რაჟდენის-ძე გუმბერიძეები**, რომლებსაც დაბა მაიაკოვსკის მცხოვრებნი **რუბენ ბიძგორის-ძე სოფაძე** და **ვალიკო ისიდორეს-ძე სიბუნავა** შეუერთდნენ, მგლებივით გაეყვნენ ირმის კვალს. პირველმა ვაუა გიგაშვილმა აღმართა მრუდე ხელი და ვეება ხარირემი სიცოცხლეს გამოასალმა. თოვლზე სისხლიანი კვალი დატოვეს შეჩვენებულმა მონადირეებმა. მერე როგორც ნამდვილმა მეკობრეებმა ხარირემს ყელი გამოღადრეს, გატყავეს, აკუწეს და ხორცი თანაბრად გაინაწილეს. „იღბალმა“ გაუჭრა ვაუა გიგაშვილსა და ვალიკო სიგუნავას. პირველს, როგორც მკვლელს, დამატებით ირმის თავი და რქები არგუნეს, ხოლო მეორეს, როგორც მონადირეთა საზოგადოების ეგერ-ინსპექტორს და მათს მფარველს, ირმის ტყავი მიართვეს.

მაგრამ მეკობრეებს ირმის მწვადების გემოდ ნახვა არ დასცალდათ. მათ დანაშაულზე წაასწრეს. მხოლოდ ვალიკო სიგუნავამ მოასწრო ნიკოფიერი მტკიცების გაკრობა და ტყავი ხანის წყალს გაატანა.

თითქოს ამის შემდეგ მაინც ჭკუა უნდა ესწავლათ იმავე სოფელ ზეგანში მცხოვრებთ **ლევონ არტიმოს-ძე ნანტრიაშვილსა** და **ბიგლა იაროზის-ძე დოგრაშვილს**, რომელთა ეზოებთან 12 თებერვალს მიდან გამოქცეული ფელი გამოჩნდა. მთის ფელი შეხიზნებას ითხოვდა, მაგრამ გულცივმა ადამიანებმა განგმირეს და შამფურებზე წამოაგეს.

მეკობრეებსა და ბრაკონიერებს ეგონათ დაუსჯელი დარჩებოდნენ. მაგრამ ბუნებას მტერზე მეტი ქომაგი ჰყავს. მათი წყალობით დროზე მიაკვლიეს ვაი-მონადირეებს.

მაიაკოვსკის რაიონის მილიციის განყოფილების უფროსმა ი. მაჩიტიძემ, რაიონის მონადირეთა კავშირის თავმჯდომარემ ა. ებანოიძემ, მილიციის უბნის რწმუნებულებმა ა. გიორგაძემ, ო. გუმბერიძემ, ე. რობაქიძემ და ს. ენდელაძემ, ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორმა ი. ებანოიძემ ოპერატიულად მიიღეს ზომები და ყველა ზემოაღნიშნული ბრაკონიერი ადგილზევე დააკავეს.

შეჩვენებული მონადირეები ახლა განიარაღებული არიან. მათ სანადირო თოფები ჩამოერთვათ და ყველანი პასუხისგებაში არიან მიცემული. მალე წარსდგებიან სასამართლოს წინაშე.

ჭეშმარიტად, კანონის მთელი სიმკაცრით უნდა დაისაჯონ მართლაც უხეირო მეთოფეები.

შ. ჯაბანაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

დ. ნერგაძე,
მაიაკოვსკის რაიონის ნადირობის სახელმწიფო ინსპექტორი.

აი ისინი — ბუნების მტრები. ზემო სურათზე — დ. ნატრიაშვილი და გ. დოგრაშვილი; ქვემოთ, მარჯვნიდან — მ. გიგაშვილი, ვ. გიგაშვილი, შ. გიგაშვილი, დ. გუმბერიძე, მ. გუმბერიძე, რ. სოფაძე.

გაეცანით, ეს სიახლეა

„რუბინ III“ და „რუბინ 110“ — პირველი კლასის ორი ახალი ტელევიზორია, რომლებიც მოსკოვის ტელევიზორების ქარხანაში შექმნეს. ორივეს აქვს სამამულო კინესკოპებს შორის ყველაზე დიდი ზომის — 65 სანტიმეტრი დიაგონალის ეკრანი. ტელევიზორ „რუბინ III“-ს დისტანციური მართვაც აქვს. საწარმოში უკვე დაამზადეს ახალი ტელევიზორების პირველი პარტია.

სუხუმზე: ქარხნის ლაბორატორიაში. მარცხნიდან მარჯვნივ — ინჟინერი ლ. გონიალინა, ტექნიკოსი გ. ბოჩინინა და ლაბორატორიის უფროსი ლ. კევეში „რუბინ 110“-ის გამოცდის დროს. ფოტო ვ. კუნოვისა და ა. სტუფინისა. (საკადესის ფოტოქრონიკა).

⊙ საოცრება პოლიგრაფიაში ⊙ პირველ ადგილზე მსოფლიოში

გაფცანით ფოტოტელეგრაფით

ყოველდღე გამოჩნდება ხოლმე ახალი ნამეტი გამოცემები. მოსკოვში გამოშავალი 16 გაზეთი იგზავნება საბჭოთა კავშირის უზარმაზარი ტერიტორიის ყველაზე დაშორებულ კუთხეებში. და თვითეულ მკითხველს სურს რაც შეიძლება მალე მიიღოს ისინი.

მაგრამ, მაგალითად, ხაბაროვსკში სწრაფი თვითმფრინავითაც კი გაზეთებისა და მატრიცების ჩატანა შეიძლება მხოლოდ 8 საათში. ხოლო ვინაადან ხელისმომწერთა რიცხვი წელითიწლობით მატულობს, გაზეთების დროზე მიწოდების პრობლემა განუწყვეტლივ რთულდება.

გაზეთების გადასაცემად რატომ არ უნდა გამოვიყენოთ ტელეგრაფი?

ბიღლტელეგრაფის დახმარებით გაზეთის შორ მანძილზე გადაცემის ცდები სსრ კავშირში ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომამდე წარმოუდგა. უნებლიე შეწყვეტის გამო, რაც გამოწვეული იყო ომით და სახალხო მეურნეობის შემდგომი აღდგენით, ამ პრობლემის გადაწყვეტა გადაიდო. მხოლოდ 1964 წელს დაიწყო გაზეთების საცდელი გადაცემები მოსკოვიდან ლენინგრადში. 1965 წლის 10 იანვრიდან მოკიდებული ლენინგრადელები „პრავდას“ ყოველდღე იღებენ იმავე დროს, როცა მოსკოველები იმ ტექნოლოგიის მეოხებით, რომელიც შეიმუშავეს ბოლოგრაფიული მრეწველობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და „პრავდის“ სტამბის ლაბორატორიამ.

ამჟამად გაზეთ „პრავდის“ გადაცემა კავშირგაბმულობის არხებით წარმომმზადებული ანაწყობიდან სპეციალურ სინჯსაბეჭდ დაზგაზე იღებენ მკაფიო ანაბეჭდს უაღრესი სითეთრის ქაღალდზე. ანაბეჭდს შემდეგ ათავსებენ ფოტოტელეგრაფის აპარატის დოლზე. სპეციალური შუქმტკიცური მოწყობილობა დოლის ტრაიალის დროს „კითხულობს“ გაზეთს. ასობის, შტრიხების ზედმიწყოლებით მოწყობილობას ოპტიკური სიგნალები ელექტრომაგნესცენარიდან მოკიდებული ლენინგრადელები „პრავდას“ ყოველდღე იღებენ ერთ-ერთ ადგილას, სადაც ისინი მიმღებ აპარატებში მოხვდებიან.

მიმღები აპარატის დოლში, რომელიც გადამცემის დოლის სინქრონულად ბრუნავს, ჩადებულია შუქმგრძნობიარე მასალა — ფოტოფირი. აქ ხდება შებრუნებული ოპერაცია — ელექტროიმპულსები გარდაიქმნება ოპტიკურ სიგნალად, რომლებიც ფოტოფირზე იწერება, გადის რამდენიმე წუთი — და ფოტოფირზე გამოდის ორიგინალის ნეგატივი. შემდეგ მიმდინარეობს ყოველი ფოტოგრაფისათვის ნაცნობი ოპერაციები. ფირი გამომქაღავნდება, გულმოდგინედ ირეცხება წყალში, ფიქსირდება, კვლავ ირეცხება და სპეციალურ კარადაში შრება.

გაზეთის მიღებულ დიაპოზიტივს ათავსებენ შუქმგრძნობიარე ფენით დაფარულ ლითონის ფინზე და ანათებენ მძლავრი ფარნებით. ფინის დამუშავებისა და მერავათი ამოჭმის შემდეგ მის ზედაპირზე ჩნდება ანაწყობის რელიეფის შესაბამისი ღრმულები; სწორედ ამ ფინიდან, როგორც სტამბური ანაწყობიდან, ბეჭდავენ ტექსტს.

გამოხატულების გადაცემის სიჩქარე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მაჩვენებელია, რომელიც ახასიათებს ფოტოტელეგრაფის მოწყობილობას. იგი დამოკიდებული არ არის გადაცემასა და მიღებას შუა მანძილზე, არამედ განისაზღვრება კავშირგაბმულობის იმ არხების სიხშირეთა ზოლით, რომლების მეშვეობითაც გადაცემა ეწყობა, რაც უფრო ფართოა სიხშირეთა ზოლი, მით უფრო ნაკლები დრო სჭირდება გადაცემას. მაგალითად, ფართოზოლიანი სატელევიზიო არხებით გაზეთ „პრავდის“ ერთი გვერდი შეიძლება გადაცემულ იქნას სულ 4-5 წუთში, ხოლო კავშირგაბმულობის ჩვეულებრივი კაბელური ხაზებით ამას 15-18 წუთი დასჭირდება.

ბ. სვიატოვი.
(ახალი ამბების სააგენტო).

„ენერგეტიკული ლიოლიოთეკა“

უმაღლესი ლიგის ფიზიკურთელთა კოლექტივების განაგრძობენ ბრძოლას გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ პრიზის — „ენერგეტიკელთა“.

როგორია დღეისათვის ჯგუფებში მეტოქეობა მდგომარეობა?

პირველ ჯგუფში ლიდერია ტაშკენტის „პახტაკორი“, რომელსაც ორი თამაშიდან 3 ქულა აქვს. ორ-ორი ქულა მოაგროვეს მოსკოვის „დინამომ“, ტაშკენტის ოლქის „პოლიტოტდელმა“, დონეცკის „შახტიორმა“ და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვმა“. 1 ქულა აქვს ალმა-ატის „კაირატს“.

მეორე ჯგუფში დაწინაურდა დონის როსტოვის არმიის სასპორტო კლუბის გუნდი, რომელსაც 4 ქულა აქვს 4-დან. მეორე ადგილზეა ერევნის „არარატი“ — 3 ქულა. მოსკოვის „სპარტაკს“ 2 ქულა აქვს. ოდესის „ჩერნომორეცს“, ლენინგრადის „ზენიტსა“ და კრასნოდარის „ყუბანს“ — თითო ქულა.

მესამე ჯგუფში ლიდერობას ინარჩუნებს მოსკოვის „ტორპედო“ — 4 ქულა. მოსკოვის ლოკომოტიველებს 3 ქულა აქვთ, ქუთაისის „ტორპედოს“ — 2 ქულა, კიევის, მინსკისა და თბილისის „დინამოს“ გუნდებს — თითო ქულა.

მეოთხე ჯგუფში წინ არიან თბილისის „ლოკომოტივისა“ და ბათუმის „დინამოს“ გუნდები. ოთხი შესაძლებლობიდან თვითეული მათგანს სამი ქულა აქვს. ორ-ორი ქულა მოაგროვეს ლუგანსკის „ზარიამ“, ტყიბულის „მემახტეგმ“ და ბაკოს „ნეფტიანიკმა“. არც ერთი ქულა არა აქვს კიროვაბადის „დინამოს“.

„ენერგეტიკული ლიოლიოთეკა“

⊙ საოცრება პოლიგრაფიაში ⊙ პირველ ადგილზე მსოფლიოში

გაზეთი ფოტოტელეგრაფით

მაისსა და ივნისში...

ევროპის ფეხბურთის ასოციაციების კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ 1969 წლის ევროპის ჩემპიონთა და თასის მფლობელთა თასის გადამწყვეტი მატჩები გაიმართოს მომავალი წლის მაისში. თასის მფლობელთა თასის გათამაშების ფინალი შედგება 21 მაისს, ხოლო ჩემპიონთა თასის გათამაშების უკანასკნელი მატჩი ერთი კვირის შემდეგ.

აგრეთვე დადგინდა, რომ თუ იტალიელები მეოთხედფინალში დაამარცხებენ ბულგარეთის ნაკრებს, ევროპის ჩემპიონატის ფინალი შედგება იტალიაში, თუ პირიქით მოხდა და გაიმარჯვეს ბულგარელებმა, ევროპის პირველობის ფინალი შედგება ესპანეთში ან ინგლისში.

ევროპის ფეხბურთის ასოციაციათა კავშირმა შეიმუშავა აგრეთვე ოლიმპიური ტურნირის შესარჩევი მატჩების კალენდარი. სსრ კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრები გაიმართება 21 მაისსა და 2 ივნისს.

ბრწყინვალე დუეტი

საბჭოთა ფიგურული მოცეკვავეები **ლიუდმილა ბელოუსოვა** და **ოლეგ პროტოპოპოვი** ყინულის მოედნის ნამდვილი ვირტუოზები არიან. ეს საბჭოთა დუეტმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა მსოფლიო პირველობაზე უენევაში სავალდებულო პროგრამის შესრულებისას.

ცხრავე მსაჯმა ერთხმად უძლიერესად **ლ. ბელოუსოვა** და **ო. პროტოპოპოვი** აღიარა. ამ დუეტმა სავალდებულო პროგრამის შედეგ 105,1 ქულა შეაგროვა. კვლავ გაგვახარეს გრენობლის ოლიმპიური ასპარეზობის ვერცხლის პრიზიორებმა მოსკოველებმა **ტ. ეუკ-ზესტერინოვამ** და **ა. ბოგრანოვამ.** მათ 102,7 ქულა აქვთ და მეორე ადგილზე არიან. მესამე საბჭოთა წყვილს **თ. მოსკვინასა** და **ა. მიშინს** სავალდებულო პროგრამის შემდეგ 100,6 ქულით მეოთხე ადგილი უჭირავთ.

ვაეთა ერთეულების ასპარეზობაში სავალდებულო პროგრამის 2 ფიგურის შემდეგ წინ იყო ამერიკელი **ტიმი ვუდი**, მაგრამ შემდეგ ინიციატივა ხელთ იგდო ცნობილმა ავსტრიელმა მოცეკვავემ **ე. დანცერმა** და ლიდერობას არავის უთმობს.

მოცეკვავეთა შორის ორი ფიგურის შესრულების შემდეგ (სავალდებულო პროგრამა) წინ იყვნენ ინგლისელთა წყვილები **დიანა ტაულერი** და **ბერნარდ ფორდი**, **ეკონა სადიკი** და **მალკოლმ კენონი** და **ჭანეტ სობრიჯი** და **ჯონ ლეინი.**

გუშინ გვიან ღამით ფიგურისტები გამოვიდნენ ნებისმიერი პროგრამით, გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები.



ქალაქ თბილისის მოქალაქეთა საყურადღებოდ!

თბილისის საქალაქო სატელეფონო ქსელის სამმართველო აცხადებს, რომ ა. წ. 2 მარტის დილის 7 საათიდან დაიწყება ატს-3-ის და ატს-5-ის გადართვა ხუთნიშნიანი ნუმერაციიდან ექვსნიშნიანზე, რის დამოკავებაც გათვალისწინებულია 4 მარტის 7 საათისათვის. აღნიშნულ პერიოდში შესაძლებელია შეფერხებები ატს-3-ის და ატს-5-ის აბონენტებთან დაკავშირებაში.

2 მარტის დილის 7 საათიდან და შემდგომ ტელეფონების ნომრებს ინდექსთან „3“ მიეკუთვნებათ ინდექსი „93“. მაგალითად, ნომრები 3-13-66, 3-14-45, 3-38-02 შეცვლილი იქნება ნომრებით 93-13-66, 93-14-45, 93-38-02. აღნიშნული დროიდან ტელეფონის ნომრებს ინდექსად „5“ მიეკუთვნება ინდექსი „95“. მაგალითად, ნომრები 5-13-60, 5-15-13, 5-18-01 შეცვლილი იქნება ნომრებით 95-13-60, 95-15-13, 95-18-01.

აღნიშნულთან დაკავშირებით თბილისის სატელეფონო ქსელის სამმართველო სთხოვს მოქალაქეებს და ქსელის აბონენტებს 2 მარტის 7 საათიდან სწორად აკრიფონ ატს-93 და ატს-95 ექვსნიშნიანი ნომრები. წინააღმდეგ შემთხვევაში ტელეფონების შეერთება არ მოხდება და გაიზრდება ტელეფონის სადგურების დატვირთვა.

ატს-3 და ატს-5-ის ექვსნიშნიან ნუმერაციაზე გადართვისა და წარმოქმნილი შეფერხებების შესახებ **აბონენტებს შეუძლიათ 2 მარტის 7 საათიდან მიიღონ ცნობები ტელეფონებით: 6-30-99** (პირველი ჰაისის სატელეფონო კვანძი), **4-11-99** (26 კომისრის რაიონის სატელეფონო კვანძი), **22-29-99** (ორჯონიკიძის რაიონის სატელეფონო კვანძი), **7-29-99** (ორჯონიკიძის რაიონის სატელეფონო კვანძი), **99-58-99** (კალინინის რაიონის სატელეფონო კვანძი).

შენიშვნა: 2 მარტის დილის 7 საათიდან ქვესადგურების 38-01, 38-02, 38-03, 38-04, 38-05, 38-06, 38-07, 38-08 38-09 გამოძახება მოხდება ხუთნიშნიანი ნუმერაციით 9-38-01, 9-38-02, 9-38-03, 9,38-04, 9-38-05, 9-38-06, 9-38-07, 9-38-08, 9-38-09.

ტელევიზია

29 თებერვალი

12.00 — რუმინული მხატვრული ფილმი „გიიდუკები“ (16 წლის ასაკამდე ბავშვებისათვის ამ ფილმის ნახვა მიზანშეწონილი არ არის), 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — ახალი ამბები, 18.10 — ბავშვებისათვის მხატვრული ფილმი „შეიდიდან თორმეტამდე“, 19.30 — გადაცემა სპორტულ თემაზე „დასასანი სინამდვილე“, 19.50 — კინონარკვევი, 20.00 — „ოქროპირი“ სატირულ-იუმორისტული სატელევიზიო ჟურნალი, 20.45 — ვისაუბროთ ჩაიზე, 21.15 — მუსიკალური კალეიდოსკოპი — ენრიკეო კარუზო (გადმოცემა მოსკოვიდან), 21.30 — „მხიარული ეკრანი“, 21.55 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე), 21.55 — კინონარკვევი, 22.35 — გადაცემა — „რესპუბლიკის სახალხო არტისტი სანდრო ჟორჟოლიანი, 23.25 — პროგრამა მეორე დღისათვის, 23.30 — მსოფლიოს პირველობა ციგურებით ფიგურულ სრიალში — ცეკვები ქვადმოცემა შეეიცარიიდან).

თეატრები

29 თებერვალი

რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ჩვენ, მისი უდიდებულესობა..., **მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური** — წმინდანები ჯოჯოხეთში,

„დინამოს სტადიონი“

29 თებერვალს

ფეხბურთი

გაზეთ „სოვეტსკი სპორტის“ „ენერგეტიკელთა“ პრიზის გათამაშება

„ტორპედო“ მოსკოვი — „დინამო“ თბილისი

დასაწყისი 16 ს. 30 წ.

ფასიანი აბონემენტები ძალაში არ არის.

29 თებერვალს ბილეთები გაიყიდება 10 საათიდან.

ყმაწვილ სპორტსმენებ და ბილეთების შესაძენი აბონემენტები ძალაშია.

რა ვნახოთ,